სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხოსროშვილი

● №15 (4590) ● 11 დეკემბერი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

ერისა და მამულისათვის

„ჩვენ საქართველოს მომავალი ვართ და „ივერია“ გვქვია“



სათაურად გამოტანილი კერძო სკოლა „ივერიის“ ჰიმნიდანაა. იგი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის ყოფილმა პედაგოგმა, საბავშვო მწერალმა, ქალბატონმა **ციალა ამბოკაძემ** შექმნა:

„ჩვენ საქართველოს მომავალი ვართ
და „ივერია“ გვქვია,
ფეხს ახლა ვიდგამთ და მომავლისკენ
სავალს გავცქერით მზიანს.
ჩვენ გავიზრდებით
და გავმრავლდებით,
ფესვებს გავიდგამთ ფხიანს,
სამშობლოს სახელს
არც ჩვენ შევარცხვენთ,
ჩვენ ქართველები გვქვია!“

დიდებული, ქართული სულიდან ამოხეთქილი ჰიმნია. მაგრამ შენობა სახურავიდან ხომ არ შენდება? სიპზე ნერგს ხომ ვერ გაახარებ? ანუ, ასეთი სულისკვეთების ჰიმნის დაწერა ხომ სათანადო ნიადაგზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული? მაშ, „ივერიაში“ სწორედ ეს ქართული სული ტრიალებდა (და ტრიალებს); ივერიელებს ყმაწვილების უპირველესად ეროვნულ ნიადაგზე აღზრდა მიაჩნდათ (და მიაჩნიათ) აუცილებლად. სწორედ ასეთი ვითარების ლოგიკურ შედეგად უნდა აღვიქვათ პატრიოტული შეგრძნებით გამსჭვავლული ეს ჰიმნი. იგი მხოლოდ სიმბოლო როდი გახლავთ – სკოლის არსის, მიზანმიმართულობის გამოხატულებაა.

ამასვე ადასტურებს ძალზე მაღალ ტიპოგრაფიულ დონეზე გამოცემული სკოლის ჟურნალი „გონების თვალი“. სამწუხაროდ, ძნელბედობის გამო, ახლა ვეღარ გამოსცემენ ამ ერთობ საინტერესო ჟურნალს, მაგრამ, რაც ვნახე, მერწმუნეთ, სულაც არ გახლავთ მხოლოდ სკოლის ცხოვრების ამსახველი მასალებით სავსე. სნავლა-აღზრდის, საქართველოს ისტორიის აქტუალური საკითხები, ღირსახსოვარი თარიღები, ბავშვებისათვის საინტერესო, ჭკუისასწავლებელი ამბები, ღვაწლმოსილი ადამიანები. თუნდაც ვაჟა-ფშაველას დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ნომერი ავიღოთ. კარგი მეცნიერული დონის ჟურნალებს არაფრით ჩამოუვარდება...

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება. წლობით გვიჭედავდნენ თავში, ისტორიის წარმმართველი ძალა მასაა; კი, იყვნენ პიროვნებები, ერთგვარ ბიძგს აძლევდნენ პროგრესს, მაგრამ წარმართველი ძალა, მაინც მასა არისო. არადა, ისტორია სწორედ საწინააღმდეგოს ადასტურებს.

ძალზე ბევრია დამოკიდებული პიროვნებაზე, მის ნიჭზე, უნარსა და შემართებაზე.

კერძო სკოლა „ივერია“ მეუღლეებმა: „ქალბატონმა **ნინო გერგიძემ** და **დავით რიჟამაძემ** დააფუძნეს. ქალბატონი ნინო დირექტორია. მან 1993 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ – ასპირანტურა. მუშაობა თავის აღმზრდელ 61-ე სკოლაში დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მერე კერძო სკოლა იყო. ანუ, მან „ივერიის“ დაარსებამდე იცოდა კარგად კერძო სკოლის სპეციფიკა, ის სირთულეები, რაც ასეთი ტიპის სასწავლო დაწესებულების გახსნის თანმხლებია და სრული შეგნებით გადადგა ეს ნაბიჯი.

ბატონი დავითი ხელოვანთა ოჯახში აღიზარდა და სკოლაში ბევრი საინტერესო, ყმაწვილების სარგო პროექტისა და ღონისძიების ავტორია.

აუცილებლად გამოსაკვეთი: იმ ხანად, როცა კერძო სკოლის დაარსება გადაწყვიტეს და საამისოდ შეუდგნენ თადარიგის დაჭერას, 27 წლისანი იყვნენ. საკუთარი თავის რწმენა ძალიან ბევრს ნიშნავს და, აკი, გაამართლა კიდეც – 1999 წელს 15 მოსწავლით დაწყებულმა საქმემ მალევე „იბარტყა“ და თითქმის 300 მოსწავლემდე ავიდა.

სკოლის ავტორიტეტის კიდევ ერთი დასტური: მაშინ სკოლა ვარკეთილში მდებარეობდა. 2013 წელს კი მეტრომშენის დასახლებაში გადავიდა. გადავიდა და ბევრი ვარკეთილელი მოსწავლე თან მიჰყვა საყვარელ სკოლას. „ახალმოსახლე“ თანდათან მეტრომშენშიც გაიცნეს და მოსწავლეთა რაოდენობაც ნელ-ნელა უბრუნდება „პირველ ნიშნულს“.

წარმატებები სკოლის 30-ვე პედაგოგის დამსახურებაა, მაგრამ ქალბატონი ნინო განსაკუთრებით ემადლიერება იმ პედაგოგებს, ვინც სკოლის დაარსებიდანვე მოღვაწეობს აქ, ვისთან ერთადაც უყრიდა საძირკველს სკოლას. ქალბატონებს: **ნატო ცუცქირიძეს, ნონა ვერულაშვილს, მაკა ჭიჭინაძეს, ციური ქენქაძეს, დარეჯან იმნაძეს, მაია ნიკოლეიშვილს,** ბატონ **იპოლიტე გაფრინდაშვილს.**

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ოლიმპიადა-კონკურსში და – წარმატებითაც. შარშან 3 ოქროს მედალოსანი ჰყავდათ. იყოს ცოტა, ოღონდ – ნაღდი. სკოლისთვის უმთავრესი ხარისხია და არა რაოდენობა.

მოქმედებს უფასო და ფასიანი წრეები და სექციები.მშობლებისთვის სკოლა გახსნილია. კლასების დამრიგებლებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მათთან და ისინი მუდმივად ინფორმირებულნი არიან შვილების ყოფაქცევასა და სწავლის ხარისხზე. დაწესებულია მშობელთა დღე.

ასეთ შეკრებებზე ყოველთვიურად განიხილება განვლილი თვის საკითხები და დამდეგი თვის ერთობლივი მუშაობა იგეგმება.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, პედკოლექტივის მუშაობა ძალისხმევის ტოლფასი მაინც ვერ იქნებოდა, ამიტომ „ივერიას“ აღჭურვილ-გამართული ლაბორატორიები, კლას-კაბინეტები და სპეციალური „ნიჭიერ ბავშვთა“ ოთახი.

ბევრ ეროვნულ-ეროვნული ტრადიციებ-ეროვნული ტრადიციებ-ეროვნული ტრადიციებ

სალამი იუბილარს

ზედა საზანოს საჯარო სკოლა 100 წლისაა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოს საჯარო სკოლის დირექტორის ბ-ნი **მამუკა მექვაბიძისა** და პედაგოგიური კოლექტივის ინიციატივით ჩატარდა სკოლის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიება.

აღნიშნულ ღონისძიებაზე სკოლიდან გააცილეს ღვაწლმოსილი პედაგოგები, **დარეჯან ჭანკვეტაზე**, **ვენერა გელაშვილი, ინეზა დოღონაძე** და **გურამ ყიფშიძე.** სკოლის შესახებ: ზედა საზანოში პირველი სკოლა 1919 წელს დააარსეს **მიქაშავიძეებმა**, რკინის ხიდთან, **ვიქტორ ჩუბინიძის** ბინაში. სკოლის პირველი მასწავლებელი გახლდათ **ლიდა ფანჩულიძე**. ის იყო გამგეც, დირექტორიც და პედაგოგიც. 1920 წელს მრავალი ხელისშემშლელი პირობების გამო, ის იძულებული შეიქნა სკოლა დაეხურა. ამ პერიოდში მოსახლეობის თხოვნით სოფელს დაუბრუნდა ახალგაზრდა მასწავლებელი **პლატონიდა აბაშიძე,** რომელიც გურიაში სოფელ ლესაში მუშაობდა პედაგოგად.

1924 წელს სამწლიანი სკოლა შვიდ წლედად გადაკეთდა.1934 წელს სკოლის შენობა ხანძარმა გაანადგურა. სასწავლო პროცესმა კოლმეურნეობის შენობაში გადაინაცვლა. **ვანიჩკა მიქაშავიძემ,** რომელიც იმ პერიოდში საფინანსო სახალხო კომისარიატში მუშაობდა, მოიძია თანხა ახალი სკოლის მშენებლობისათვის და მეტიც, ამ პატრიოტმა ადამიანმა თავის კუთვნილი ნაკვეთიც კი დაუთმო სოფელს, სკოლის მშენებლობისათვის და სკოლის შენობა დღესაც ამ ტერიტორიაზეა დაფუძნებული.

1942 წელს სკოლის დირექტორად **ალექსანდრე ჯაფარიძე** დაინიშნა. ის სკოლას ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა 36 წლის განმავლობაში. მოსწავლეთა რაოდენობა იზრდებოდა და მათმა რიცხვმა ხუთასსაც კი მიაღწია.

შემდეგ კი 1981-1986 წლებში დირექტორად იმუშავა ბ-მა **გაბო კუპატაძემ.** 1986-2006 წლებში სკოლას უხელმძღვანელა ქ-მა **ზინა ზარნაძემ.** მის პერიოდში აიგო ახალი შენობა სკოლისა. ბნელი 90 -იანი წლების მიუხედავად არ შეწყვეტილა სასწავლო პროცესი, მადლობა მას ამისათვის და მის მაშინდელ თანამებრძოლ

პედაგოგებს. შემდეგ დირექტორის თანამდებობაზე იმუშავეს **ელგუჯა ჩუბინიძემ, ნანა გოგიაშვილმა, ზურაბ რიჟამაძემ** და **გოგი გიორგაძემ.**

დღეს კი სკოლას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა, ენერგიული პედაგოგი ბ-ნი **მამუკა მექვაბიძე.** მრავალი წარმატება ეგემოს ამ ისტორიულ, ცოდნის მაძიებელთა სახლს.

მასალა მოგვაწოდა
ისტორიკოსმა
ანზორ ბერუაშვილმა

გვერდი მოამზადა
გერმანე საზანოელმა.

რა ხდება 63-ე საჯარო სკოლაში?

აქ ყველაფერი ევროპროექტებს უმიზნებს

მუდამ პრესტიჟული იყო პრესტიჟულ უბანში მდებარე 63-ე საჯარო სკოლა. ასეა ახლაც. აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ გამოცდილი, ერუდირებული, ენერგიული დირექტორის **ნანა მონიავას** ხელმძღვანელობით. დიდი ხანია ეფექტურად უძღვება სიახლის გრძნობით გამსჭვალული მოადგილე **მაია გოგოლაძე**. ყველა გუნდური პრინციპით ცდილობს ფრთები შეასხას იმ სიახლეებს, ინიციატივებს, რაც ახალ სასწავლო წელს განათლების სამინისტროს მიერ არის დასახული. თუ როგორ აპირებენ ამას და უკვე რაც არის გაკეთებული, ამის შესახებ დირექტორთან საუბრის მოკლე მიმოხილვიდან შეიტყობთ.

* * *

სკოლებში სწავლა-სწავლების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა პროფესიონალი მასწავლებლების გუნდია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ჩვენ მოვახერხეთ სწორედ ასეთი გუნდის ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა გასული სასწავლო წელი: ოთხმა მოსწავლემ წარმატებით დაამთავრა საბაზო საფეხური. სკოლას ჰყავდა ექვსი მედალოსანი, ყველა კურსდამთავრებული წარმატებით ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. წარჩინებულ აბიტურიენტების აღზრდისათვის ყოველწლიურად ვღებულობთ მადლობის წერილებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თავისუფალი უნივერსიტეტისა და აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობებისგან, რაც, გარკვეულწილად, პედაგოგიური

კოლექტივის მუშაობის შეფასებადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენს სკოლაში 800-ზე მეტი მოსწავლეა. წელს გაიხსნა სამი პირველი კლასი, პატარებს შევთავაზეთ სახელმძღვანელოების მრავალფეროვანი რესურსი, ერთ-ერთი მათგანი **იაკობ გოგებაშვილის „დედაენაა“.**

ჩვენი მოსწავლეები უკვე აქტიურად ჩაერთვნენ ეროვნულ თუ სხვა ოლიმპიადებში. ამ მხრივ განსაკუთრებული წარმატებები აქვს მეთორმეტე კლასის მოსწავლეს **ბარბარე ჯანჯალაშვილს,** რომელიც არაერთი კონკურსის გამარჯვებულია. ამჟამად მისი ინიციატივით ხელის დაბანის საერთაშორისო კვირეულთან დაკავშირებით ტარდება ტრენინგი არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაცია CENN-სა და WASH-ის საკითხებზე.

წარმატებით მუშაობს სკოლის თვითმმართველობაც. უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლის შინაგანაწესი შედგა უშუალოდ მათი მონაწილეობით, კლასების მიერ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით;

ტარდება ინტელექტუალური თამაშები, რამდენიმე ეტაპად ხორციელდება **„ტვინების ბრძოლა“.** ამ ეტაპზე ვახორციელებთ პროექტს **ბულინგის პრევენციასთან** დაკავშირებით (დაგეგმილია ბულინგის შესახებ ინფორმაციის გაცემა, ფოკუსჯგუფებთან მუშაობა და ბულინგის შესაძლო ფაქტების გამოვლენა, კომპეტენტურ პირებთან კონსულტაციის გავლა და პრევენციული ზომების განხორციელება).

არაფორმალური განათლების მიმართულებით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგი ტიპის წრეებს: **გახანგძლივებული სწავლების, ცეკვის, კალათბურთის, ხატვის, ჭადრაკის, კრივისა** და სხვა. ვცდილობთ, მოსწავლეებს შევუქმნათ **უსაფრთხო კომფორტული გარემო,** რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფილად გამოვლენა და განვითარება. ამ პროცესში ერთნაირი მონდომებითაა ჩართული მასწავლებელიც, მანდატურიც, სკოლის თითოეული მუშაკიც. ჩვენი ერთობლივი საქმიანობის დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ შევძელით საზოგადოებაში არსებული გარკვეული სტერეოტიპის დარღვევა განსხვავებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ. დღეს ჩვენთან რვა ასეთი მოსწავლეა, რომელთა საქმიანობას წარმართავენ ერთი სპეციპედაგოგი და ორი ასისტენტი. გვაქვს კარგად აღჭურვილი რესურსოთახიც და ვცდილობთ, თითოეული შეძენილი ნივთი სწორად იქნას გამოყენებული მასწავლებლების მხრიდან.

ჩვენთან სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები, ტარდება მუშაობა სასწავლო პროცესში მათი აქტიურად ჩართვის მიზნით.

სკოლა ძირითადად აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ - მოსწავლეებში კომპლექსური აზროვნების განვითარებაზე; ვცდილობთ ჩამოვუყალიბოთ მათ რეალურ გარემოსთან ადაპტაციის უნარი, რათა შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალში; ვზრდით მათ აქტიურ მოქალაქეებად და ჩვენი კურსდამთავრებულების საქმიანობაც სწორედ ამაზე მიუთითებს. გვაქვს სისტემატური კავშირი მათთან. სკოლაში ნაყოფიერად მოქმედებს კურსდამთავრებულთა კლუბი.

გვჯერა, ასეთი მუშაობით სკოლა უთუოდ მაღალი შედეგებით დაამთავრებს მიმდინარე სასწავლო წელს.

მანანა ოზაშვილი,
ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

36-ე სკოლა მუდამ იქნება მოწინავე

ასე არა თუ ფიქრობენ, ზრუნავენ კიდევაც მის მისაღწევად

არცთუ დიდი ხნის წინათ სკოლებს ღვაწლმოსილი, ამაგდარი დირექტორების სახელით მოიხსენიებდნენ. უფრო მეტიც, მთავრობა ოფიციალურად ანიჭებდა მათ სახელს: **„კობახიძის სკოლაო“, „გიორგაძის სკოლაო“, „ელიაურის სკოლაო“...** მთავრობის გადაწყვეტილება არ ყოფილა, მაგრამ 36-ე საჯაროს დღესაც **„კამო სიმონგულოვის სკოლას“** ეძახიან. სახელოვანი წინამორბედის საქმე წარმატებით გააგრძელა ჩინებულმა დირექტორმა **ქეთევან მელიქიშვილმა.**

დღეს კი ამ სკოლას გამოცდილი, დიდად ნაღვაწი დირექტორი **მაია კვინიკაძე**, მოადგილე **ქეთევან მელიქიშვილი**, სამერვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნუნუ კაკულია** თავის ძლიერ პედკოლექტივთან ერთად უნარიანად უძღვება. ამ სიტყვების ავტორს მეტად ახარებს ისიც, რომ თავად დირექტორი ჩვენი კოლეგაა, კარგი ჟურნალისტია.

სტატისტიკის ენით მოგითხრობთ ამ სკოლის დღევანდელ ცხოვრებაზე.

სკოლის სრული რეაბილიტაცია 2020 წლისათვის არის დაგეგმილი.

ახალმიღებული პედაგოგია – გეოგრაფიის მასწავლებელი **ხატია ხეჩოშვილი.**

სტატუსამაღლებულნი: ბიოლოგიის პედაგოგები, **ლეილა ნიკოლეიშვილი მაია ჩხაიძე** და დაწყებითი კლასებისა **მაია კვინიკაძე** (წამყვანები), რუსული ენისა - **ნინო კაკაშვილი,** სპორტის **მაია მეტივიშვილი** და **ირაკლი მენთეშაშვილი**, დაწყებითი კლასების - **დალი ცქვიტიშვილი**, ფიზიკის - **თეიმურაზ ერქომაიშვილი**, ქართული ენისა - **მზია ტეტუნაშვილი** (უფროსი პედაგოგები).

უნარიანად უძღვებიან საგნობრივი კათედრებს ხელმძღვანელები:

ქართული ენა - **მზია ჩიტიშვილი,** მათემატიკა - **ნონა სებისკვერაძე**, უცხო ენები - **ირინე კაიკაციშვილი,** საბუნებისმეტყველო - **ლეილა ნიკოლეიშვილი,** საზოგადოებრივი მეცნიერებები - **მაკა კობიაშვილი**, სპორტი და ესთეტიკა - **ნანა წიკლაური,** დაწყებითი კლასები - **რუსუდან მერკვილაძე.**

გაიხსნა ერთი პირველი კლასი და სწავლობს **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“.**

ოქროს მედალი მიიღო ორმა მოსწავლემ: **თამაზ დუდაშვილმა, გური კუპრაშვილმა**.

ვერცხლის - **სოფიო ეთრუაშვილმა.**

ბიბლიოთეკარია **ნინო იარალაშვილი**, საინტერესოდ მუშაობს მოსწავლეებთან.

მანდატურები: **მაია ჯაფარიძე, ნინო კუმელაშვილი** იცავენ დისციპლინას და სკოლის უსაფრთხოებას.

უდავოა, რომ მოსწავლეთა აქტივობა და ჩართულობა სხვადასხვა სასწავლო-შემოქმედებით ღონისძიებებში მკვეთრად ამაღლებს სწავლის ხარისხს და წარმატების გარანტიაა. ამ მიზნით საინტერესო მუშაობაა გაჩაღებული. კონფერენციებში, შემოქმედებით კონკურსებში, სპორტში, წრეებში აქტიურად და ნაყოფიერად არიან ჩართული მოზარდები. იმდენი გამარჯვებული ჰყავთ, იმდენი ჯილდოა მოხვეჭილი. გვინდოდა მკითხველისთვის ამ წარმატების ჩამონათვალი მოგვეყოლებინა თავიანთი პერსონაჟებითა და პედაგოგებით, მაგრამ იმდენია, გადავიფიქრეთ. ვინმე რომ გამოგვეტოვებინა, უხერხულობა შეიქმნებოდა. კონკრეტულად, პერსონალურად რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა-ღონისძიების გაშუქება გახდა საჭირო, მზად ვართ შემდეგისთვის მოგემსახუროთ.

ჩვენ გვჯერა, ამ სასწავლო წელს სკოლა მაღალი შედეგებით დაამთავრებს. კარს მოგვადგა 2020 წლის შობა-ახალი წელი. გილოცავთ, დიდ წარმატებებს და კეთილდღეობას გისურვებთ!

ბორის კინდღელი

191-ე სკოლაში შემოქმედებითად იღვწიან

მუდამ მაღალი შედეგები აქვთ

არ ვიზიარებ მოარულ აზრს, გარეუბნების სკოლები თითქოს რამეში ჩამოუვარდებიან დედაქალაქის ე. წ. ცენტრის პრესტიჟულებს. ზოგჯერ პირიქითაც არის. ასეთი შთაბეჭდილება დამჩა, როცა 191-ე სკოლის ცხოვრებას გავეცანი. ადრეც ვყოფილვარ აქ და ვხედავდი, ახალმოსული დირექტორი **თინათინ ბაქრაძე** როგორი ენთუზიაზმით უძღვებოდა პედაგოგიურ კოლექტივს. დღეს უფრო გაძლიერებულად, დირექტორიც უფრო გამოცდილი გამხდარა.

ზოგად მსჯელობას ყოველთვის სჯობს კონკრეტიკა, როგორც თვალსაჩინოება. დირექტორს მხარს უმშვენებს ასევე გამოცდილი მოადგილე **ლია გარსენაშვილი,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ხათუნა რამიშვილი,** მთელი ადმინისტრაცია და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში პროფესიონალი პედაგოგები.

ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული შეხვდა სექტემბერს: გათბობის სისტემით, ელექტროგაყვანილობით, გარემონტდა სპორტული, სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა, ექიმისა, მანდატურისა და დაცვის სამსახურის ოთახები, საკლასო ოთახები და დერეფნები, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს.

ახალმიღებული პედაგოგები შერჩეულია კონკურსის წესით და ესენი არიან:

ინგა გურაშვილი - ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი,

ელენე კაპანაძე - სამოქალაქო განათლების, **გულნარა ბარბაქაძე** - ბიოლოგიის,

თამარ ძმანაშვილი - ფიზიკის, **ეკა ტყემალაძე** - ქართულის, **ნათია ნათაძე** - ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, **ელისო არუნაშვილი** - დაწყებითი კლასების.

ყველა პედაგოგს ამაღლებული აქვს სტატუსი და შესაბამისად მათ 1 ოქტომბრიდან მიიღეს გაზრდილი ხელფასი.

საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები უნარიანად მუშაობენ: ქართული ენისა და ლიტერატურისა - **ეკატერინე ტყემალაძე**, მათემატიკისა - **თეონა ღრუბელაძე**, უცხო ენისა - **ნინო თითირაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა - **ნინო ნიშნიანიძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა - **ლალი გიორგაძე**, ესთეტიკისა და სპორტისა - **ლამარა ირემაშვილი**, დაწყებითი კლასებისა - **ლელა გადახბაძე**.

გაიხსნა 4 პირველი კლასი. მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ **იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“** და პორტაბელური კომპიუტერი (ბუკები).

სკოლა ასახელეს მედალოსნებმა, ოქრო – **ბადრი გორგოძე, მურაზ ანესაშვილი, სალომე გეჯაძე, თამარ მურაჩაშვილი),** ვერცხლი – **თათია ბიძინაშვილი** და **გვანცა სულაშვილი.**

მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობდნენ სასწავლო ოლიმპიადაში და სხვადასხვა სახის შემოქმედებით კონკურსებში. საქართველოს საგუნდო კონკურსზე სკოლამ მოიპოვა საპრიზო ადგილი. (ხელმძღვანელი **თამარ დავითაშვილი**).

პროექტ **„ეტალონში“** გლდანის ეტალონ მოსწავლის სტატუსი მოიპოვა მეათეკლასელმა **ნიკოლოზ ცომაიამ** (ხელმძღვანელი სკოლის ბიბლიოთეკარი **მზია ფუნთუშაშვილი).**

სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული გლდანის პროფესიულ კოლეჯთან პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით. (პროექტის კოორდინატორი სკოლის მხრიდან **თამარ მაჭარაშვილი).**

პროექტში მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ნიკო კეცხოველის კონკურსის ეგიდით სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი (ხელმძღვანელი **თამარ ზედელაშვილი).**

მუდმივად ტარდება სასკოლო ღონისძიებები და გასვლითი გაკვეთილები.

სპორტის პედაგოგები ეფექტურად ახორციელებენ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის დასახულ ღონისძიებებს.

ეტალონის მიერ ორგანიზებულ კონკურს **„დაბრუნება სკოლაში“** V^ დ კლასის მოსწავლეებმა მოიპოვეს საპრიზო ადგილი (კლასის ხელმძღვანელი **თამარ დავითაშვილი).**

მანდატურები აქტიურად მუშაობენ დისციპლინისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

„ჩემი პირველი კომპიუტერის“ პროექტის ფარგლებში სკოლის ექვსმა წარჩინებულმა მოსწავლემ **(მარიამ სუხიაშვილი, მარიამ ბუკია, ნიკოლოზ ცომაია, ანი ხელიძე, აკაკი ლაშქარაშვილი, ნინო ხიდაშელი)** მიიღო საჩუქრად კომპიუტერი. ასეთი კარგი მუშაობა, ცხადია, სასიხარულო ნაყოფს გამოიღებს. დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ 191-ე სკოლელებო!

ბორის ევგენიძე

ზოვრეთის საჯარო სკოლაში

აქ ძლიერი, შემოქმედი პედაგოგები მოღვაწეობენ

სოფელი ზოვრეთი ქალაქ ზესტაფონიდან 12 კილომეტრითაა დაშორებული. მას ჩრდილო -აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი ქვედა საზანო, შიმშილაქედის უბანი. აღმოსავლეთით - სოფ. ქვედა საზანო, ჩრდილო-დასავლეთით - სოფ. რუფოთი და ტელეფა, დასავლეთით - სოფ. ღვანკითი. სამხრეთით - სოფელი ჭალატყე. ზოვრეთს აღმოსავლეთიდან ჩამოუდის მდინარე ძუსა, რომელსაც სოფლის ბოლოს აღმოსავლეთის მხრიდან ერთვის მდინარე ბუჯა და ამის შემდეგ იწოდება ჩოლაბურად.

სოფელ ალისუბნისა და შიმშილაქედის წყაროებიდან სათავეს იღებს პატარა მდინარე, რომელსაც **ვახუშტი ბაგრატიონი** ზოვრეთის ხევს უწოდებს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა კი - ხმორდოლს. ქართულ საისტორიო წყაროებში ზოვრეთი მეთერთმეტე საუკუნიდან იხსენიება. ისე კი საქართველოში რამდენიმე ზოვრეთი არსებობდა.

სოფელ ზოვრეთში არის ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, მდინარე ჩოლაბურზე მდებარეობს ძველი ქვის ხიდი რომელსაც ხალხი **„ქვიტკირის ხიდს“ – თამარის ხიდს** უწოდებს. სავარაუდოდ,ეს ხიდი მეთვრამეტე საუკუნეში შეაკეთეს. თქმულების თანახმად ხიდი კვერცხის გულითაა ნაშენი და მისი შესაკეთებელი ოქრო ერთ-ერთ საყრდენში ინახება. ეს ხიდი 1980 წლამდე ფუნქციონირებდა. ახლა მის გვერდით ახალი ხიდია აშენებული, მაგრამ თვითონ თამარის ხიდი სახელმწიფოსაგან დაცულია, როგორც ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი.

სოფელში გავრცელებული გვარებია, **კვეტენაძე, ბოგვერაძე, ვარდოსანიძე, ცხადაძე, შავგულიძე, იმნაძე, ნებიერიძე, არეშიძე, რობაქიძე, შაქარიშვილი, მეგრელიშვილი, ღვინჯილია, გვალია, კურცხალია, კალატოზი, მდივანი, ალავიძე, კაპანაძე** და სხვა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოვრეთში, პირველი ერთკლასიანი სამრევლო სკოლა გაიხსნა 1890 წელს, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთან, სკოლა პროფესიით მასწავლებელმა, ბ-მა **ივანე ნადირაძემ** დააარსა.

1902 წელს სოფლის ცენტრში **„საჯვარეზე“** აშენდა შენობა, სადაც სკოლამ დაიდო ბინა. სკოლაში მასწავლებლად მუშაობა დაიწყო მღვდელმა **ქრისტეფორე შერგელაშვილმა**. სკოლაში მხოლოდ 20 მოსწავლე სწავლობდა. 1910 წლიდან სკოლის გამგე-მასწავლებელი გახლდათ **გრიგოლ სებისკვერაძე**. შემდეგ 1912 წელს **ერმალოზ მაჭავარიანის** ხელმძღვანელობის დროს ერთწლიანი სკოლა ორკლასიანად გადაკეთდა. ამ დროს სკოლაში 40 მოსწავლე სწავლობდა და სწავლის საფასური 3 მანეთს შეადგენდა წლიურად ერთ მოსწავლეზე. სოფელი ღირსეულად იხსენებს იმდროინდელ პედაგოგებს **ბესარიონ კელენჯერიძეს, ანა ჯღენტსა** და სხვებს.

1914-1917 წლებში აიგო ახალი შენობა, ამ პერიოდში სკოლას **ბარამ მახათაძე** ხელმძღვანელობდა.

1919 წელს ზოვრეთის სკოლაში 123 მოსწავლე სწავლობდა და მათ 3 მასწავლებელი ასწავლიდათ.

1932 წელს ზოვრეთის დაწყებითი სკოლა გადაკეთდა კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლად. სკოლის ხელმძღვანელი კი **ბაბილინა ჩუბინიძე** იყო, 1955 წელს სკოლის დირექტორად **ალექსანდრე კვეტენაძე** დაინიშნა. 1983-1986 წლებში სკოლის დირექტორობის ტვირთი ბ-მა **რამაზ კუპატაძემ** გადაიბარა. რომლის ოჯახის ყველა წევრი პროფესიით მასწავლებელია.

2001 წელს ზოვრეთის მოსახლეობამ და ამ საოცარი სოფლის სტუმრებმა სკოლის დაარსებიდან 100 წლის იუბილე იზეიმეს. სკოლის დირექტორები **ბაბილინა ჩუბინიძე, ალექსანდრე კვეტენაძე, რამაზ კუპატაძე, გივი კობახიძე, გულნაზი ფერაძე.** ამ ისტორიული სკოლის აღზრდილები არიან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გივი ნებიერიძე, ვალერიან ბრეგვაძე,** ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი დეკანი **მანიკო ვარდოსანიძე,** რომელიც იყო გაზეთის რედაქტორი, ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, გენერალ-ლეიტენანტი **ვანო გურგენიძე, სერგო ვარდოსანიძე,** პროფესორი, საოცარი ქართველი **ზურა კვეტენაძე,** ის იყო პოეტი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით პედაგოგიური და ჟურნალისტური საქმიანობისათვის, წლების განმავლობაში იმუშავა განათლების განყოფილების გამგედ. ზოვრეთის საჯარო სკოლა აქვს დამთავრებული ბ-ონ **კახაბერ კუპატაძეს,** რომელიც ამავე სკოლაში პედაგოგად მუშაობდა, შემდეგ გახლდათ ქ, ზესტაფონის მე-6 საჯარო სკოლის დირექტორი, ის იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტში გამგებლის ერთ-ერთი მოადგილე. დღეს კახაბერი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, საგანმანათლებო რესურსცენტრის ხელმძღვანელია. მას ზემოაღნიშნული თანამდებობა ტყიბულის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრშიც ეკავა. დღეს ზოვრეთის საჯარო სკოლის დირექტორია **მერაბ შავგულიძე.**



წარმატებები ამ შესანიშნავ ადამიანს. ამ სტატიაში გამოყენებულია მასალები ბ-ნი **სერგო ვარდოსანიძის** წიგნიდან, რომელიც მან ზოვრეთის სკოლის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეადგინა და გამოსცა.

გვერდი მოამზადა

გერმანე საზანოელმა

ესთეტიკური აღზრდის კერა

ხელოვნება სულიერების საზრდოა





უკანასკნელ წლებში სახელოვნებო განათლებისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი სახელოვნებო სკოლების ამოცანა მრავალმხრივ განვითარებული მსმენელის აღზრდა და კულტურულ ცხოვრებაში მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართვაა. ხელოვნების სკოლა **„აფხაზეთი 2“** თბილისში 1998 წლიდან ფუნქციონირებს. მისი არსებობა **32** წლის წინ, აფხაზეთში დაიწყო და სკოლის მეთოდკაბინეტის თავმჯდომარე **ჯული არქანიამ** დევნილობაში აღადგინა. 2006 წლამდე აფხაზეთის სტრუქტურების ფარგლებში იყო, შემდეგ მოხდა რეორგანიზაცია, სამუსიკო სკოლები ხელოვნების სკოლებად გადაკეთდა და თბილისის მერიამ დააფუძნა. 2014 წლიდან სკოლას სათავეში ჩაუდგა ქალბატონ **ჯულის** ქალიშვილი **ლელა უბილავა**. იგი პროფესიით მუსიკოსია და ამ დროიდან დღემდე სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საქალაქო, რეგიონალურ, თუ საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში. საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირმა მოზარდი თაობის მუსიკალურ აღზრდაში და კლასიკური მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის **ლელა უბილავა ოქროს ვარსკვლავით**, ასევე **ოქროს საპატიო ნიშნით** დააჯილდოვა.

ამჟამად სკოლაში **230** მოსწავლეა. სასწავლო პროცესი რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს და ფუნქციონირებს განყოფილებები: **საფორტეპიანო — ჯულიეტა არქანია** (მეთოდ.კაბინეტის თავმჯდომარე), **ლელა უბილავა** (დირექტორი), **მარინა გერგედავა** (სასწავლო ნაწილის გამგე), **ქეთევან გოგიბერიძე** (კონცერტმაისტერი), **ნანა ქევხიშვილი** და **მედეა ხუხია** (პედაგოგები); **საესტრადო განყოფილება — ეკა კვენიაშვილი, დოდო ხვიჩია** (თეორეტიკოსი), **გიორგი აფრიამაშვილი** (დირიჟორი); **სავიოლინო-სიმებიანი** განყოფილება — **თამარ კოტაძე** და **მარიკა არიშვილი**; **ხალხური — გიორგი აფრიამაშვილი; ხატვა — ანა ქერაშვილი** და **გიორგი წამალაიძე**; **მეტყველების კულტურა — ხათუნა შონია** და **სოფია უბილავა**; **ჭადრაკი — ქრისტინე კობეშავიძე;**

როგორც ცნობილია, თბილისის მერიის პროგრამების მიხედვით, მაღალი აკადემიური მოსწრების, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების სახელოვნებო სასწავლებელში სწავლების საფასური სრულად ფინანსდება. ამ სკოლის წარმატებული მოსწავლეები: **საფორტეპიანო განყოფილება — მარიამ გოგმეჩაძე** (მე-2კლასი), **ნატალი კვარაცხელია** (მე-3 კლასი), **ლიზი გაბელია** (მე-3 კლასი), **გიორგი ღვინჯილია** (მე-3 კლასი), **თეკლა ღვინჯილია** (მე-5 კლასი), **ბექა შველიძე** (მე-6 კლასი), **საბა ასანაშვილი** (მე-5 კლასი), **საბა დეკანოსიძე** (მე-5 კლასი), **ნინო ასანაშვილი** (მე-8 კლასი), **სალომე შოშიტაშვილი** (მე-5 კლასი), **ანა პაპავა** (მე-10 კლასი), **ეთერ ვაწაძე** (მე-11 კლასი), **ელენე შონია** (მე-10 კლასი), **თეკლე თაკალანძე** (მე-8 კლასი), **საესტრადო განყოფილება — ელენე მოდებაძე** (მე-6 კლასი), **ვიოლინო — ლიზა გერგედავა** (მე-3 კლასი), — არაერთი კონკურსისა და ფესტივალის მონაწილენი არიან; **ანა პაპავამ** უმაღლესი ჯილდო ვარსკვლავი მოიპოვა, ხოლო **გული პაპავამ** და **ფოლკლორულმა გუნდმა** კი — **გრან-პრი.** მოსწავლეებთან ერთად ფინანსდებიან მათი პედაგოგები და მაპროფილებელი საგნის მასწავლებლები — სოლფეჯიო, მუს.ლიტერატურა, მეტყველება, ზეპირსიტყვიერება და ა.შ. მერიის პროგრამის მიხედვით ფინანსდება აგრეთვე, **87** სოციალურად დაუცველი ბავშვი.

უდიდესი წარმატებით მონაწილეობდნენ ამ სკოლის მოსწავლეები პროექტში — **„აფხაზეთის დღეები ნიდერლანდების სამეფოში.“** 2018 წლის 3 ოქტომბერს პოლიტიკურ-კულტურულ ღონისძიებაზე გაემგზავრნენ — დირექტორი **ლელა უბილავა,** სასწავლო ნაწილის გამგე **მარინა გერგედავა**, იურისტი **ანა შარია** და მოსწავლეები: **ლიზა გერგედავა, ანა პაპავა, გული პაპავა, ელენე შონია, მარიამ გერგედავა, ლუკა ძანძავა, ირაკლი სიქტურაშვილი, ლიზი ზარანდია;** ქართული კულტურის ცენტრისა და ქალბატონების **ლალი ბუთბაიასა** და **თიკა სვანიძე-ვენკოს** ორგანიზატორობით შედგა პროექტი **„დავიბრუნოთ ერთმანეთი,“** იყო შეხვედრა დიპლომატიურ კორპუსთან **ჰააგაში,** მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა 45 წუთიანი კონცერტი **ამსტერდამში**. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: **მეუფე დოსითეოსი** ბელგიიდან, საქართველოს ელჩი ნიდერლანდებში, **ვახტანგ ყოლბაია, ელგუჯა გვაზავა, ზურაბ ხონელიძე, გურამ ოდიშარია, ბელა მახარაძე-ბერკემერი, რაისა ქარაია, ფერიდე კეშელავა** და სხვა წარმატებული ქართველები უცხოეთში. ჰააგაში შეხვდნენ იქაურ ქართველებს, საკუთარ რესტორანში ვახშმად მიიპატიჟათ ქალბატონმა აფხაზეთიდან — **იზოლდა კვიციანმა.**

სხვადასხვა დროს, წარმატებით მონაწილეობდნენ და დიპლომებით დაჯილდოვდნენ, ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსზე **„იპოვე შენი ვარსკვლავი,“** სადაც ბევრჯერ წარმოაჩინეს სკოლა და მას **სანიმუშო სკოლის** წოდება მიენიჭა, დირექტორი კი სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა; ასევე, ღია ფოლკლორულ ფესტივალ-კონკურსში **„ყური უგდე საქართველოს,“ ლელა ახუაშვილის** სახელობის ფოლკლორულ ფესტივალზე **„ჩემთვის სიმღერა არის წამალი,“** სიმღერისა და ცეკვის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე, რომელიც სასომხეთში ჩატარდა; სულიერების ცენტრის თხოვნით, მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთში დაღუპული გმირის პატივით გადმოსვენებაში; ჩატარდა **ვაჟა აზარაშვილის**, **კახა** და **გოგი ცაბაძეების** საღამოები; ხატვის განყოფილების მოსწავლეები მონაწილეობდნენ კონკურსში **„მე მინდა, ჩემი ქვეყანა მიცნობდეს“**.

უდიდესი წარმატებითა და მაყურებელთა მქუხარე აპლოდისმენტებით წარმოადგინეს **სანდრო ახმეტელის** სახელობის თბილისის დრამატული თეატრის სცენაზე **„აფხაზეთი 2-ის“** მოსწავლეებმა მიუზიკლი **„მუსიკის ჰანგები,“** დამდგმელი რეჟისორი **ანა შონია**. ანა პროფესიით იურისტია, ისიც ხელოვნების ამ სკოლის წარმატებული მოსწავლე იყო და ამჟამად, ქალბატონ **ლელასთან** და დირექტორის მოადგილე **მარინა გერგედავასთან** ერთად, შემოქმედებით პროცესში თავისი წვლილი შეაქვს.

საკმაოდ ნაყოფიერად დაიწყეს სასწავლო-შემოქმედებითი პროცესი ახალ სასწავლო წელსაც. 2019 წლის 1—7 ივლისს წარმატებით მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფესტივალში **„ჩემი ლამაზი ქვეყანა,“** რომელიც **ქობულეთში** ჩატარდა. **„აფხაზეთო, საქართველოს მშვენებავ“ — გია მაისაია** ამ სიმღერით, რომელიც სკოლის ჰიმნად იქცა, წარსდგნენ მსმენელის წინაშე; 10 ნოემბერს ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკისა და ხალხური შემოქმედების მე-11 რესპუბლიკურ ფესტივალზე **„შენ ხარ ვენახი,“ თელავი 2019,** თბილისის ხელოვნების ეს სკოლა დიპლომით დაჯილდოვდა; აფხაზეთის დღესთან დაკავშირებულწლოდ, კონცერტი ჩატარდება საქართველოს **კომპოზიტორთა კავშირში**; სკოლის დახურულ კონცერტში კი მონაწილეობას მიიღებს ყველა განყოფილება. არდადეგების შემდეგ, ისევ სასკოლო დახურული კონცერტი, **„იპოვე შენი ვარსკვლავი“**, ი.ს **ბახის** კოსტიუმირებული საღამო, **ვაჟა დურგლიშვილის** საავტორო საღამო, სადაც მონაწილეობას მიიღებენ საესტრადო და საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეები, 2 საღამო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად 1–4 კლასის და 5–11 კლასის მოსწავლეებისათვის. შიდა კონკურსი **„მორბენალი თითები“,** სადაც ეტიუდები შესრულდება. სასწავლო წელს კი დაასრულებს გადასაყვან-გამოსაშვები გამოცდები და სკოლის საანგარიშო კონცერტი მშობლებისათვის. 1 ივლისიდან კი კვლავ **ქობულეთი** უმასპინძლებთ ერთკვირიანი კონკურსით.

აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობის და არამხოლოდ მათი, სამუსიკო განათლებისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებისათვის, აქ პოზიტიური გარემოა შექმნილი. სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს სწორად მოაზროვნე მომავალი თაობის განვითარებაზე, ეს სკოლა ხელოვნებასთან ზიარების კერაა და როგორც ქალბატონმა ლელამ აღნიშნა — **ხელოვნება სულიერების საზრდოა**

.

ნათია გურგენიძე





165-ე სკოლა მოწინავეა

აქ უმთავრესი ხარისხიანი სწავლებაა

ჩვენი სკოლა ამაყობს მოსწავლეთა წარმატებებით და მაღალი აკადემიური მოსწრებით - ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თბილისის 165-ე საჯარო სკოლის დირექტორმა **მაია ჯაბაურმა**. აქ მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემოა შექმნილი და სწავლა-განათლების დონეც მაღალია. ქალბატონი მაია უკვე შვიდი წელიწადია წარმატებით ხელმძღვანელობს სკოლას და ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. იგი პროფესიით მათემატიკოსია და უკვე მრავალი წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა.

სასიხარულოა, რომ სკოლა მაღალ ხარისხზეა ორიენტირებული. აქ გარემო შესანიშნავია, ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ინვენტარით. სკოლაში ამჟამად 3 პირველი კლასია, რომელთაც საჩუქრად გოებაშვილის **„დედა ენა“** გადაეცათ.

მაია ჯაბაური: სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. ვამაყობთ ჩვენი თანამშრომლებით, რომლებიც ერთ გუნდად არიან შეკრული. მოსწავლეებს კომფორტულ გარემოს ვუქმნით, უსაფრთხო გარემოში ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას ვუწყობთ ხელს. ჩვენთვის უმთავრესია მოსწავლეების ინტერესი, მათი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება და ხარისხიანი განათლება. სკოლაში ერთი **მენტორი** პედაგოგია **ნანა ნადირაძე,** რომელიც ქიმიის სპეციალისტია. ასევე, არიან წამყვანი მასწავლებლები – **მანანა ლომაძე,** ხოლო ინგლისურის დაწყებითი კლასების გახლავთ **ნინო სეხნიაშვილი** და **მაყვალა ალიაშვილი.** სკოლაში, ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდისთვის მთელი რიგი პროექტები განახოციელეს პედაგოგებმა: **რუსუდან ტალახაძემ, ანა წენგუაშვილმა** და **მარიკა შალამბერიძემ.**

აქ სულ 7 საგნობრივი კათედრაა: დაწყებითების - ხელმძღვანელი **ნინო ცინაძე,** ქართული ენა და ლიტერატურის - **ლალი ოქრუაძე,** მათემატიკის - **ასმათ ჩუბინიშვილი,** უცხო ენები - **ხათუნა იოსელიანი,** საზოგადოებრივ მეცნიერებათა - **ნინო მერაბიშვილი,** საბუნებისმეტყველო **მარინა ინჯგია**, ესთეტიკის და სპორტის **ანა კანდელაკი**.

მე-10 კლასელები ყოველწლიურად მონაწილეობენ განათლების სამინისტროს პროექტში **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** საიდანაც ლეპტოპებით დასაჩუქრებული ბრუნდებიან. სკოლის კურსდამთავრებულთა 90% წარმატებით აბარებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. შარშან 5 ოქროს, და ერთი ვერცხლის მედალოსანი ჰყავდათ.

165-ე საჯარო სკოლაში არაერთი ინოვაციური პროექტი განხორციელდა. მათ შორის აღსანიშნავია მოსწავლეების სხვადასხვა ინიციატივაც. უფროს კლასელები ამზადებენ საინტერესო რადიო გადაცემას **„ჩემი ხმა“.** ასევე, საინტერესოდ განხორციელდა პროექტი **„საუბრები მომავალზე“,** რამაც გამოიწვია მოსწავლეთა დიდი ჩართულობა და ინტერესი. შემეცნებითი პროექტებიდან აღსანიშნავია **„რა, სად, როდის?''**, სადაც მოსწავლეებმა სკოლა ასახელეს. მოზარდები ასევე, მონაწილეობენ **„ტვინების ბრძოლა''**-ში **„ეტალონში''**, ასევე, სხვადასხვა ოლიმპიადებში და საკმაოდ წარმატებებს აღწევენ.

სკოლის დიდი პლიუსი ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდაა, რაც აქ უმთავრესია. სპორტული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია შიდა კლასებს შორის შეჯიბრი და გაზაფხულის საფეხბურთო ტურნირი, სადაც მეზობელ სკოლებთან ერთობლივად მონაწილეობენ. მოსწავლეები ამჟამად **„მხიარული სტარტებისთვის“** ემზადებიან.

165-ე სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ილიაუნის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან. სტუდენტები აღნიშნულ სკოლაში პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან და აქაური პედაგოგები ეხმარებიან მომავალ პედაგოგებს პროფესიულ დაოსტატებაში.

ასეთი მუშაობით ახალი წარმატებები გარანტირებულია.

ანანო სამელია

ეკოკლუბი “ეკოტინი”

ეკოკლუბი „ეკოტინი“

ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსი -ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია - 2015 წელს დაარსდა CENN-ის მიერ, პროექტის - **„ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“** - ფარგლებში და ავსტრიის **„თანამშრომლობა განვითარებისათვის“** ფინანსური მხარდაჭერით.

კონკურსის თანაორგანიზატორები არიან: საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს პარლამენტი.

დაარსებიდან დღემდე კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1,000—ზე მეტმა სკოლამ.

თბილისის **176-ე საჯარო სკოლის** ეკოკლუბი **“ეკოტინი”** პროექტში წელს ჩაერთო და საკმაოდ აქტიურადაც . აღსანიშნავია რომ, ეკოკლუბ **“ეკოტინის”** მიერ უკვე არაერთი აქცია განხორციელდა...

„- ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“ - კონკურსზე ბევრად მეტია. ის იძლევა უამრავ შესაძლებლობას პიროვნული ზრდისა და ორგანიზაციული განვითარებისათვის;

კონკურსის მთავარი მუხტი გახლავთ სოლიდარობა, თანამშრომლობა და პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოს მიმართ.

აქ თითოეული მონაწილე იძენს უდიდეს ცოდნას და უნარ-ჩვევებს რომლებიც აუცილებელია წარმატების მისაღწევად... **„ეკოტინის“** პარტნიორები არიან სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, საქველმოქმედო ფონდი **„ვარ კეთილი“** , არასამთავრობო ორგანიზაციები **„იარე ფეხით“, „ახალი ხედვა - ახალი ჰორიზონტები“,** მოხალისეობრივი საინიციატივო ჯგუფი **„Green Tbilisi“...** ეკოკლუბ **„ეკოტინის“** გუნდის წევრების: **ლიკა ბიწკინაშვილის, ბარბარე ბუცხრიკიძის, გიორგი კავთელაძის , მარიამ არდაზიშვილის , ევგენია მაილიანის , თემო ფორჩხიძის , ნიკა თევდორაშვილის , ლაშა თურქაძის, პროექტის ხელმძღვანელ-მასწავლებლების , გიორგი სებისკვერაძისა** და **ლია ალავერდოვას** დაუღალავი შრომის წყალობით, უამრავი კეთილი საქმე გავაკეთეთ... ასევე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, სკოლის დირექტორის, **ეკა გაბინაშვილისა** და პედაგოგიური კოლექტივის ხელშეწყობა და მხარდაჭერა პროექტის მიმდინარეობისას.

მადლობა თითოეულ მათგანს თანადგომისთვისა და მხარდაჭერისთვის,-აღნიშნა ჩვენთან საუბარში ეკოკლუბის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, **დანიელ ხარატიანმა.**

ირმა მეგრონია

ლიტერატურული კუთხე

ანბანთმფერებელი



თემურ ხუციშვილს *საზოგადოება იცნობს, როგორც ნიჭიერ რეჟისორს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია არაერთი მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების არსებობა.*

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი არის საქართველოს სახალხო არტისტის, ვირტუოზი მუსიკოსის ***ომარ კელაპტრიშვილის*** *ცხოვრებისა და შემოქმედების ვიდეო მემატიანე.*

არც ისაა გასაკვირი, რომ მხატვრული სიტყვისა და პოეზიის სიყვარული ჩასჭრია გულსა და გონებაში. წერს სადად, უბრალოდ, არ ეძებს განსაკუთრებულ სიტყვებსა და სახეებს, უფრო კლასიკური პოეზიის ერთგულია. მისი ლექსების თემატიკა შეუზღუდავია: ბავშვური მოგონებები, მეგობრობა, სახალისო სხარტულები, პატრიოტიზმი, სიყვარული...

აი, რას წერს მის შესახებ ყველასათვის საყვარელი უნიჭიერესი პოეტი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ***თემურ ჩალაბაშვილი:*** *„****თემურ ხუციშვილი****, როგორც რეჟისორი და პოეტი ახლა იმ ასაკშია, როცა მოსავალი უნდა მომკას და მიითვალოს კიდეც. ის ორი მუზის მსახურია და ვუსურვებ ორივე მუზისთვის ღირსეულად ემუშაკოს.“*

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გამომცემლობა „საარმა“ ახლახანს მისი ლექსები წიგნად გამოსცა.

თემურის ლექსებს რომ გაეცნობი, აუცილებლად დაგეუფლება გულწრფელობის განცდა.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს, რომლითაც შეიძლება დაინტერესდეს, როგორც მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე განათლების სამინისტროცა და სისტემაც.

ფუძეთფუძე

პირველი ასო **ანი,**
შემდეგ **ბანი** და **განი,**
ფარნავაზისგან მოდის
ყოველი მათთგანი.
მომდევნო ასო-ბგერა
დონი, ენი და **ვინი,**
ჩვენი ანბანი არის
მხოლოდ პატარა ზვინი.
ზენი, თანი და **ინი,**
კალ, ლას, მანი და **ნარი,**
ეს არის რუსთაველის
ამღერებული ქნარი!
ხოლო **ონი** და **პარი,**
ჟანი, რაე და **სანი** —
გრძნობა, გონება, სიტყვა
აღმაშენებლისანი,
ტარი, უნი და **ფარი;**
ერეკლეს ხმალი, ფარი;
ქარი, ღანი და **ყარი,**
ღვთისმშობლის წილნაყარი,
ხოლო **შინი და ჩინი,**
ცანი, ძილი და **წილი,**
ჭარი, ხანი და **ჯანი,**
ჰაესთან ერთად ყველა
ქართულ ანბანის ჯარი!

ყამთმწერი

ანბანმა **ბ**ნელი **გ**აფანტა,
დაფუძნდა **ერ**ში **ვ**აზადა,
ზის **თ**ავში **ი**სე **კ**ეკლუცად,
ლაღად, **მ**ოქნილად, **ნ**აზადა,
ოქრომკერდია **პ**ირდაპირ,
– **ჟ**ამთმწერი, **რ**ქმული **ს**ადადა!
ტაავტო **უ**მზერს **ფ**არნავაზს, –
ქართველს, **ღ**ირსეულს **ყ**ველგანა,
შნოიანს, **ჩ**ვენსა **ც**აანბანს,
ძველს, **წ**რთობილს, **ჭ**ედილს
ხნესთანა,
ჯვარი **ჰ**ფენია **ა**ნბანსა, –
მამაღმერთ **ი**ჩენს **ნ**ებასა!

ანბანის არმური

ავყევი **ა**ზრის **ა**რმურსა,
ბავშვური **ბ**ანცალ-**ბ**ანცალით,
გალაღებული **გ**ულითა,
დიდი **დ**არდების **დ**აძალვით...
ელავდა **ე**რი **ე**რთობით,
ვითა **ვ**არაყი **ვ**აზისა,
ზოგისთვის **ზ**ღაპარ-**ზ**მანება,
თაგალ-გვირიტი **თ**ავგზისა.
იმედეული **ი**რაობს,
კვლავმარჯვე **კ**აცის **კ**ერაო,
ლამაზი **ლ**ერწმის **ლ**ალისფერ
მტევნების **მ**ეცა **მ**ზერაო,
ნაღდი **ნ**იმბ-შარავანდია,
ოპალი **ო**ქროსფერაო...
პატარა **პ**ამპალავაქნი
ჟრიამულ **ჟ**ამიერშია,
რთველში **რ**აშივით **რ**ოკავენ,
სიდინჯით **ს**აწნახელშია;
ტაატ-**ტ**აატით **ტ**კბილ **ტ**ალღებს,
უგზოობა **უ**კაფია,
ფარფატა **ფ**იფქების **ფ**ერი,
ქვევრში **ქ**ათქათებს **ქ**აფია;
ღვთიური **ღ**ვინო **ღ**იღინებს –
„**ყ**ურძენი **ყ**ლაპოს **ყ**ველამა,
შმაგი **შ**ხეფები **შ**ეირგოს
ჩემებრ **ჩ**აუქმა **ჩ**ვენამა“...
ცას **ც**იმციმებენ **ც**დომილნი,
ჭალა-**ჭ**ულების, **ჭ**ისაო...
ხმა **ხ**ვთისა **ხ**ომ **ხ**ალხისააო,
ჯარ-სპა, **ჯ**ალაბნი **ჯ**ვრისაო
ჰოდა, **ჰ**ყვაოდეს ანბანი
მეფე ფარნავაზისაო!..

სიახლე, რომელიც მისაბაძია

„გოა“ - განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდობა



დღეს საქართველოში უამრავი ახალგაზრდული ორგანიზაცია არსებობს, რომელთა მიზანია სწორი მიმართულება მისცეს ახალგაზრდების ენერგიასა და ენთუზიაზმს... ბევრი ასეთი ორგანიზაცია სპორტსა და სასარგებლო უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული... ორგანიზაციას, რომლის წარდგენასაც დღეს თქვენთვის ვაპირებ, ძალიან საინტერესო, განსხვავებული ხედვები აქვს, მისი არსებობიდან ჯერ ერთი წელიც არ გასულა, მაგრამ მან უკვე შეძლო თავი დაემკვიდრებინა ზუგდიდელი ახალგაზრდების ცხოვრებაში...

აღნიშნული ორგანიზაცია ზუგდიდელმა ახალგაზრდებმა მოხალისეობრივ და ალტრუისტულ საწყისებზე შექმნეს და მას „გოა“ უწოდეს - „განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდობა“...

ჩვენი სტუმარი გახლავთ ორგანიზაცია „გოას“ თავმჯდომარე, საქართველოს წითელი ჯვრის მოხალისე ტრენერი, ქალაქ ზუგდიდში არსებული ტექნოპარკის სტარტაპელი, ზუგდიდელი ახლაგაზრდა, დიმიტრი ძიმცეიშვილი . დიმიტრი მუშაობს სხვადასხვა სტარტაპ პროექტებზე. პროფესიით ოფის-მენეჯერი, მუდმივად სწავლისა და ძიების პროცესშია, ამჟამად ეუფლება ვებ და მობაილ -აპლიკაციის დიზაინს. მუშაობს საქარგავ პროგრამებზე და ასევე, სარეკლამო კომპანიაში...

- ორიოდ სიტყვით მოგვიყევით “გოას” შესახებ...

- **„გოა“** განვითარებაზე ორიენტირებულ ახალთაობელებს აერთიანებს. ეს დიდი ოჯახია. აქ არიან ახალგაზრდები, რომელთაც სურთ განვითარდნენ, გრძნობენ სოციალურსა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ცდილობენ აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მიიღონ მეტი ინფორმაცია და ეს ცოდნა, იდეები, გამოცდილება თანატოლებსაც გაუზიარონ. მათი მიზანია იმუშაონ გუნდურად, ერთად დაგეგმონ ისეთი ღონისძიებები ან პროექტები, რომლებიც მათ ინტერესებზე იქნება მორგებული და საშუალებას მიცემს გამოავლინონ შესაძლებლობები, უფრო მეტად კი საკუთარი პიროვნება. „გოას“ ძირითადი პრიორიტეტებია: ადამიანის უფლებები, მოზარდების ჩართულობა და უზრუნველყოფა, რომ ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას შეექმნას გარემო, რომელშიც თავს კარგად იგრძნობს, ისწავლის, განვითარდება.

- რა სეგმენტზეა გათვლილი? რა პროექტებს ანხორციელებთ?

- ორგანიზაციას გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სეგმენტი (ახალგაზრდა თაობა) და ცდილობს დაუჭიროს მხარი, დაეხმაროს მათ განვითარებაში. კერძოდ, ვცდილობთ ახალგაზრდული მუშაობის ხელშეწყობას და ახალგაზრდებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას, მათზე მორგებული აქტივობების განხორციელებას. ერთ-ერთი პროექტი გულისხმობს ახალგაზრდული კლუბის ჩამოყალიბებას სახელწოდებით „ლიტერატურული სარდაფი“, რომელიც გააერთიანებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალ რამდენიმე სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს.

- ორგანიზაცია „გოას“ მხარდაჭერით ზუგდიდის რეგიონში ბევრი გასართობ-შემეცნებითი ღონისძიება განხორციელდა...

-დიახ, ასეა, ჩვენი კლუბის დანიშნულებაა ახალგაზრდების შეკრება-მობილიზება, მათთვის სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრის მოწყობა, ტრენინგების ჩატარება, კონფერენციების გამართვა, ღია და დახურული შეხვედრები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშების გამართვა, ფილმების ჩვენება, ფორუმ-თეატრი, პანელური დისკუსია.

- „გოა “ მალევე გახდა პოპულარული... რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო ?

- „გოას“ წარმატების საიდუმლო გახლავთ შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფულობა, მეტი ურთიერთობა, მეტი გახსნილობა და მეტი დიალოგი ახალგაზრდებთან...

- გუნდის წევრებზეც გვითხარით ორიოდე სიტყვით...

- ჩვენი გუნდის წევრები ისევ საქმის კეთებას მოწყურებული ახალი თაობაა, რომელთაც სურთ თავიანთი გამოცდილება, ცოდნა თანატოლებს გაუზიარონ, რათა ძლიერი მოქალაქეებით ფორმირებული, გუშინდელზე კარგი დღევანდელობა და უკეთესი ხვალინდელი დღე, მომავალი შექმნან...

- როგორია „გოას“ სამომავლო გეგმები...

- გვსურს, საქართველოს მასშტაბით, ძალიან ბევრი ახალგაზრდა შემოვიკრიბოთ, ერთად განვიხილოთ პრობლემები, ვეძებოთ გადაჭრის გზები და საერთოდ, ვთვლით, რომ ამ თაობას გასაქანი უნდა მივცეთ, ფრთები რომ ფართოდ გაშალონ და აკეთონ ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის ან თუნდაც ერთმანეთისთვის სასიკეთო საქმე.

ესაუბრა **ირმა მეგბონია**





საახალწლო სამზადისი 27-ე ბაგა-ბაღში

აღსაზრდელებს ლამაზ სანახაობას უმზადებენ

წინა საახალწლო ფუსფუსია დედაქალაქის 27-ე ბაგა-ბაღში, სადაც გრანდიოზული სადღესასწაულო მუსიკალური სპექტაკლებისთვის ემზადებიან. მონაწილეები კი იქნებიან, არც მეტი არც ნაკლები, ბაღის თანამშრომელები, აღსაზრდელები სანახაობას მაყურებლის სტატუსით დაესწრებიან. მუსიკალურ სპექტაკლებში, პატარებისთვის ნაცნობ ზღაპრის გმირებს და პერსონაჟებს გააცოცხლებენ.

თეონა ჯინჭარაძე (27-ე ბაგა-ბაღის დირექტორი): ტრადიციული საშობაო-საახალწლო ზეიმის ფორმატი შევცვალეთ და პატარებს მხოლოდ ლამაზ სანახაობას შევთავაზებთ. ორი სპექტაკლი მოვამზადეთ და დაკავებულია ბაღის ყველა თანამშრომელი. ასე რომ, პატარებს 22 -დან 25 დეკემბრამდე, ძალიან ლამაზი სანახაობა ელოდებათ. 3 წელიწადია, რაც დირექტორი ვარ და ვცდილობ პატარებს კომფორტული გარემო შევუქმნა. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია. ამჟამად, სულ 510 აღსაზრდელი გვყავს. წარმატებით ფუნქციონირებს **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა, სადაც 150 აღსაზრდელია. 27-ე ბაგა ბაღში დიდი ყურადღება ექცევა აღსაზრდელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას და სხვადასხვა აქტივობებს.

ბაგა-ბაღში საინტერესოდ ჩატარდა შემოდგომის ღონისძიება, სახელწოდებით: **„ოქროსფერი შემოდგომა“**, რომლის თემა გახლდათ **„გია ყანჩელი და ოქროსფერი შემოდგომა“.** ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა დიდი კომპოზიტორის უკვდავი მუსიკა, რომლის ფონზე პატარებმა გააცილეს შემოდგომა. ასევე, ბაღის ეზოში სხვადასხვა თემატური პავილიონი მოეწყო, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაიმართა და აღსაზრდელებმა საინტერესო მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ ვაკე-საბურთალოს გამგებელი **ნოდარ ტურძელაძე**, ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი **კახაბერ გვანცელაძე** და სხვები.

აღსაზრდელებისთვის ძალიან საინტერესო ოყო, ბაღში ჩატარებული სხვადასხვა ქვეყნების სამზარეულოების გაცნობის კვირეული. აღმზრდელების დახმარებით, **„სასკოლო მზაობის''** ჯგუფებმა წარმოადგინეს ქართული, იტალიური, ამერიკული და ფრანგული კულინარიული ნიმუშები. კერძების მომზადების პროცესში პატარებიც იყვნენ ჩართულნი, რაც მათთვის ძალიან სახალისო იყო.

საშობაო-საახალწლო სპექტაკლის სახელწოდებაა **„ყინულის დედოფალი“,** მუსიკალური ხელმძღვანელია **გვანცა გვაზავა**, მონაწილეობენ: **თამარ ტუღუში** – გერდა, **თეა ლეკიშვილი** – კაი, **რუსუდან თოთიაური** – ფიფქია, **გვანცა ურუშაძე** – ბურატინო, **ლია ჩადუნელი** – არიელი, **ხათუნა მუხიგულაშვილი** – ჯამბაზი, **შორენა გელაშვილი** – მერი პოპინსი, **ნათია ყიფიანი** – პეპი, **მაია სარიშვილი** – ბალუ, **ლელა თოთლაძე** – მთხრობელი.

მეორე წარმოდგენა კი, **„საახალწლო ზღაპარია“,** რომლის მუსიკალური ხელმძღვანელია **მეია მეგრელიშვილი.** მონაწილეობენ: **ეკა ამაშუკელი** – დედინაცვალი, **ნათია ჯინჭარაძე** – კონკია, **ხათუნა მუხიგულაშვილი** – გრიზელდა, **ნატალია თედეშვილი** – ანასტასია, **ია ბასილაშვილი** – ფერია, **მაია ჭაფოძე** – პრინცი, **თამარ ტუღუში** – არლეკინი, **მარიამ დავითაშვილი** – ბურატინო, **რუსუდან კოპალეიშვილი** – ყარაბასი. **ხატია სიჭინავამზია, ნანა ასლანიშვილი** – ჭინჭრაქა.

ასე რომ, პატარებს, საახალწლო ნუგბართან ერთად, ლამაზი სანახაობა და მხიარულება ელოდებათ.

მზია გოგოძე

75-ე ბაგა-ბაღში საახალწლო სამზადისია

პატარებს მუდამ სიხარულით ეგებებიან

წინასაახალწლო სამზადისია თბილისის 75-ე ბაგა-ბაღში, სადაც პატარებისთვის საზეიმო სანახაობას ამზადებენ. ბაღი დარიალის ქუჩაზე მდებარეობს. იგი ტრადიციული საბავშვო დაწესებულებაა და არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ბაგა-ბაღი 1963 წლიდან ფუნქციონირებს და ამ ხნის მანძილზე ვინ მოთვლის რამდენი პატარა დააფრთიანეს. აქ დღესაც მუშაობენ ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც სიამოვნებით იხსენებენ ბაღში გატარებულ წლებს, უცხოელ სტუმრებს, საინტერესო ღონისძიებებს. ასევე, იმ ავბედით პერიოდსაც იგონებენ, როცა მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, ქვეყანას ძალიან უჭირდა, თუმცა ბაღს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია და დიდი ძალისხმევის შედეგად შეინარჩუნეს საბავშვო დაწესებულება. არსებულ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ ბაგა-ბაღის დირექცია და ამჟამინდელი თანამშრომლებიც. შენობის ინფრასტრუქტურა განახლებულია და ესთეტურად მიმზიდველი. ბაგა-ბაღის დირექტორმა **თამარ ჩხარტიშვილმა** დეტალურად გაგვაცნო თუ რა სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაუტარდა საბავშვო დაწესებულებას. წარმოდგენილ ფოტო მასალაში ნათლად არის ასახული ის გრანდიოზული სამუშაოები, რაც ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარში დგომით განხორციელდა.

თამარ ჩხარტიშვილი: უკვე მეოთხე წელიწადია ბაგა-ბაღს ვხელმძღვანელობ და ვცდილობ პატარებს კომფორტული გარემო შევუქმნა და თითოეულ აღსაზრდელს ყოველ დილით სიხარულით ვეგებებით. ძალიან კმაყოფილები ვართ თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს და მისი ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით. ბატონი კახას ინიციატივით არაერთი სიახლე განხორციელდა, მათშორის არის ახალ საბიუჯეტო სისტემაზე გადასვლა, რაც კარგად აისახა ფინანსების მიზანმიმართულად გადანაწილების თვალსაზრისით. ასევე, მადლიერებას გამოვხატავთ ვაკის რაიონის გამგებელის **ნოდარ ტურძელიძის** მიმართ, რომელიც ძალიან დიდი გულისყურით მოეკიდა ჩვენს თხოვნას და დაგვეხმარა ეზოს რეკონსტრუქციის საკითხში. საერთოდ, აღნიშნული უწყებები ერთობლივად, ძალიან კარგ საქმეს აკეთებენ ჩვენს საკეთილდღეოდ, ახორციელებენ მონიტორინგს. ამჟამადაც მიმდინარეობს ეზოს გამაგრებითი სამუშაოები. ბაღის შენობის სარემონტო სამუშაოები კი, ყოველწლიურად ტარდება. მოწესრიგებულია საბავშვო ოთახები, დარბაზი, საძინებლები, დამონტაჟებულია სახანძრო და უსაფრთხოების ბადეები. სასადილო აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით და ა.შ.

ბაგა-ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ასევე აღმზრდელებს და თითოეულ თანამშრომელს. ესენია: **მარიკა მარგალიტაძე, მაია აფციაური, ნატალია ვაშაკიძე, მარინე ხაჩიძე, მანანა მახარაძე, ნატო შაყულაშვილი, ელისაბედ გეგენავა, მაია ბრეგაძე, ქეთევან წენგუაშვილი, მარგალიტა კუსიანი, ნინა წულუკიძე, თამარ ნათაძე, მარინა შავგულიძე, დალი კაპანაძე, ანანა კაპანაძე, ბელა ღლონტი, მარინა კანდელაკი, იამზე კობერიძე, თეა ჯიბლაძე-იმნაიშვილი, ნონა გოგებაშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ელზა ყიფშიძე, ნანული მელიქიშვილი, თეონა სირაძე, ირმა გიორგაძე, ლალი უნგიაძე, ნინო ცერცვაძე, ნინო დილებაშვილი, თამარ ტაბატაძე, ნანა გაბელია, ნინო მარტიშვილი, ლელა ბანეთიშვილი, თამარ კუტივაძე, ნოემ და კარინე სააკიანები, ვართუი ავეტისიანი, ალინა გუჯეჯიანი, გრეტა მარქარიანი, ლეილა სიჭინავა, ასია სააკიანი, მარინე სირაძე, დავით ელბაქიძე, ანატოლი პირვლი, ინგა გიორგაძე, გრიგოლ გაფრინდაშვილი** და **მერაბ ხუჭუა.**

საბავშვო ბაღში ამჟამად 300 აღსაზრდელი და სულ 8 ჯგუფია. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა. არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 4 პატარა, ხოლო 8 განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელი, რომელთანაც ერთობლივად მუშაობს მულტიდისციპლინარული გუნდი. აქ კვებას დიდი ყურადღება ექცევა და პატარებს გემრიელ და დაბალანსებულ საკვებს უმზადებენ. რაც შეეხება, სანიტარულ წესებს, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. ბაღს ემსახურება მაღალკვალიფიციური ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორი. ასე რომ, პატარების ჯანმრთელობა საიმედო ხელშია.

ბავშვებისთვის ხშირად იმართება სხვადასხვა აქტივობები, შეოქმედებითი გაკვეთილები და სეზონური ზეიმები. შთამბეჭდავი იყო შემოდგომის გაცილების ზეიმი, რომელიც თბილისის ქუჩის მეეზოვეებს მიუძღვნეს. დირექტორის თქმით, აღნიშნული ღონისძიების მიზანი იყო პატარების გულისხმიერი დამოკიდებულების გამოხატვა მეეზოვეების მიმართ და მათი შრომის პატივისცემა. მეეზოვეებს, თბილსერვის ჯგუფთან ერთად გადაეცათ სიგელები.

ასევე, დაგეგმილია საახალწლო ზეიმი, რომელიც ვაკის პარკში გაიმართება, სახელწოდებით: **„არ მოჭრა, მორთე“.** ღონისძიებაში მშობლებიც ჩაერთვებიან და პატარები ვაკის პარკში ნაძვის ხეს მორთავენ.

ბედნიერ ახალ შობა-ახალწელს გისურვებთ, 75-ე ბაგა-ბაღელებო!

მზია გოგოძე

მე-18 ბაგა-ბაღმა გაგვახარა

ბავშვი საწყისია დიდი ადამიანისა

ყოველდღიურად დედასავით ზრუნავენ თბილისის **მე-18** ბაგა-ბაღში პატარებზე. დირექტორი **სოფიო მამულაშვილი** პროფესიით ისტორიკოსია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის 186-ე საჯარო სკოლაში. დირექტორთა კონკურსის წარმატებით გავლის შემდეგ კი 2007 წლიდან, ამ ბაგა-ბაღს ჩაუდგა სათავეში და ამ წლების განმავლობაში წესრიგში მოიყვანა ინფრასტრუქტურა. გამაგრდა ბაღის შენობა, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა ინვენტარი, შეიძინეს სათამაშოები. უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ფანჯრებზე დამონტაჟდა დამცავი ბადეები. წლევანდელ სასწავლო წელს კი განსაკუთრებული სიახლით შეხვდნენ — უკვე აქვთ საკუთარ პატარა ეზოში დამონტაჟებული გასართობი საქანელები, ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, ბაგის ჯგუფში განაახლეს საძინებელი, დაამატეს საწოლები.

ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული მულტიდისციპლინარული გუნდი — საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები: **ნინო ძამნაშვილი** და **მაია აფრიაშვილი;** ფსიქოლოგი **თეა გოგია;** ლოგოპედი **ლევან კოჭლამაზიშვილი,** რომლებიც ერთად ზრუნავენ ბავშვთა მოტორიკის, გონებრივი თუ ფიზიკური უნარ-ჩვევების, ლექსიკური მარაგის განვითარებაზე, ქცევის მართვასა თუ წინარე აკადემიური უნარების განვითარებაზე;

დირექტორს მხარში ერთგულად უდგანან: მოადგილე **ანა ჩაჩანიძე,** ჯანმრთელობის და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ნაზიბროლა ფერაძე,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ლიანა ყუშიტაშვილი,** საქმისმწარმოებლები — **დიანა ჟღენტი** და **ლია წამალაშვილი;**

ბავშვზე ორიენტირებულ, თამაშზე დაფუძნებულ რჩევებსა და მიდგომებს ითვალისწინებენ სასკოლო მზაობის ჯგუფში აღმზრდელი **მაკა ფოფხაძე** და აღმზრდელის თანაშემწე **ნინო გორელაშვილი;**

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში თითოეული ბავშვის ჩართულობას უზრუნველყოფენ აღმზრდელები: **ია ბახტურიძე, თინა პარუნაშვილი, რუსუდან ოდოსაშვილი, თამარ ზაალიშვილი, ლიანა მანუკიანი, ხათუნა შვანგირაძე, მაია შანშიაშვილი, ეკატერინე რუხაია, ნონა ციხიშვილი, ეკატერინე ძამნაშვილი;**

აღსაზრდელები ჯგუფებში მოწყობილ ცენტრებში სურვილის მიხედვით ნაწილდებიან და დღეს მხიარულად ატარებენ. მათ მზრუნველობას არ აკლებენ აღმზრდელის თანაშემწეები: **თეონა წულაია, ქეთევან ბერიძე, მაია კუსიანი, დარეჯან ლეჟავა, ირინა ბოჭორიშვილი, ირმა ნარსავიძე;**

პატარების შემოქმედებით, საშემოდგომო თუ საახალწლო აქტივობებში მუსიკალური ნომრების ლამაზად წარმოდგენა მუსიკის პედაგოგ **ელისო ბაგაშვილის** დამსახურებაა; თითქმის ტრადიციად იქცა, უფროს ჯგუფებში, ყოველწლიური შემეცნებითი პროექტი **„მუსიკის ჰანგები“,** რომელსაც სანახაობითი ფორმა აქვს და ახალ წლამდე ჩატარდება; საახალწლოდ კი კარნავალისთვის ემზადებიან. აღსაზრდელები მონაწილეობდნენ აქტივობების შესატყვის თემატურ პროექტებში: **„ბარაქიანი შემოდგომა“,** რომელიც გაჯერებული იყო ლექსებით, სიმღერებით, საცეკვაო ნომრებით; **„ჩემი უბანი“** (ისნის რაიონის ღირსშესანიშნაობების შესახებ). მონაწილეობენ აგრეთვე საერთაშორისო პროექტებში, როგორიცაა — **„მოვუფრთხილდეთ დედამიწას,“** სადაც მონაწილეობდა ბაღის თითქმის ყველა აღსაზრდელი და მწვანე ჯილდოც დაიმსახურეს; აგრეთვე, **„პატარა ხელებით,“** ბავშვთა დაცვის, დაუნის სინდრომისა და ტოლერანტობის დღეები.

სააგენტოს თანადგომით, პროდუქტის შესანახი ოთახები მოწესრიგდა და უკვე 4 მაცივარი აქვთ, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მზარეულები — **ნინო ციხიშვილი** და **ნინო დადიანიძე** პატარებს უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებიან.

ბაგა-ბაღის მოვლა-პატრონობასა და სისუფთავეზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **ლიანა აფციაური, სვეტლანა ვართანოვი, ქეთევან მოსეშვილი, ჟანეტა კვიციანი, ნატალია ჩიხრაძე;**

დირექტორი განსაკუთრებით მადლიერია ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის **კახაბერ გვანცელაძისა** და ისნის რაიონის გამგებლის **კახა ლაბუჩიძის.**

დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ მე-18 ბაგა-ბაღელებო!

ნათია გურგენიძე

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო“

პაწია გულის დიდი სიყვარული

გვმოძღვრავს უფალი, თუ ბავშვებად არ გარდაიქმნებით, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველშიო. ცხადია, მაცხოვარი ფიზიკურ გარდასახვას არ გულისხმობდა. ბავშური სიალალე, გულწრფელობა, უშუალობა ჰქონდა მხედველობაში. ყველანი ხომ ბავშვობიდან მოვდივართ...

რაოდენ სიყვარულს იტევს პაწია გული? 11 წლის ნინო მჭედლიშვილის გული უკიდეგანოდ მოყვარულია. ამ პატარა გოგონას უკვე გათავისებული აქვს ქრისტესმიერი გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენიო. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს 4 წლის გაუნელებელი სევდა მისი საყვარელი თედო პაპის გარდაცვალების გამო? ბავშვებს ხომ უფრო ადვილად გადააქვთ ხოლმე მწუხარება? ნინოს კი სევდა არ უნელდება და ბავშვური სიალალით, გულისგულიდან ამოხეთქილი სინანულითა და სიყვარულით იხსენებს საყვარელ ადამიანს. აშკარაა ნინოს ჯერ ბავშვურად გულუბრყვილო, მაგრამ მხატვრული ხედვა, მარჯვე კალამი, რაც, ნინოს ნიჭთან ერთად, მისი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ქალბატონ ინგა ხორავას დიდი დამსახურებაცა. ვკითხულობ ნინოს კლასის ხელმძღვანელის ხელმოწერილ უზადო დახასიათებას; ვათვალიერებ სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში წარმატებული მონაწილეობისა თუ გამარჯვებისთვის ნაბოძებ მის დიპლომებს, სიგელებს, სერთიფიკატებს და მიკვირს, უკვე რამდენი რამ მოუსწრია ამ ერთი ციდა გოგონას.

ეს ხომ თავისთავად დიდებული და მტკიცე საწინდარია, რომ ნინო აუცილებლად მრავალ წარმატებას მიაღწევს ცხოვრებაში, მაგრამ უმთავრესი სხვაა – როგორი ასპარეზიც უნდა აირჩიოს, ის, უპირველესად, ადამიანი იქნება: წრფელი, მოყვარული, პატიოსანი, ერთგული... ისეთი, სამშობლოს რომ წაადგება.

გზა დავულოცოთ მას!

ყურძენი მომართვა, ვითარცა დიდ ქალბატონს

არდაეგებზე ჩემს სოფელში ჩავდივარ ხოლმე. უბატონო მხარეში, სახელდობრ, მაღაროში. იქ მეღოდებოდნენ გუდკეთიდი ცოდქმარი _ ეთერ ბებო და თედო პაპა. მაგრამ დროს ხომ ყველაფრის წართმევა უყვარს? აი, ასე დაღუპა დრომ თედო პაპა. ყველასთვის დიდი სტრესი აღმოცნდა ეს. ეთერ ბებო ტიროდა, მოხუცებული ქალები გამუდმებით ქვითინებდნენ; კუბოში ინვა გაციებული თედო პაპა. ისეთი შეგრძნება მქონდა, როგორც მაშინ, დიდი სოსო პაპა რომ გარდაიცვალა. ხუთი წლისა ცრემლებს ვიკავებდი, მრცხვენოდა, ვაიდა ცბა დავაყენოო. უკვე ოთხი წელია, რაც თედო პაპა აღარ არის.

ერთი რამ მინდა გაგიმხიღოთ: ვიხსენებ, როგორ შემრცხვა, თედო პაპასთვის სიტყვა `მიყვარხარ~ რომ მეთქვა. ახლა კი, როცა ამაზე ვფიქრობ, გული მტკივა და თვალები მიცრემლიანდება. ეთერ ბებო ერთგულად ინახავს თედო პაპას ხსოვნას. ყოველ შაბათ-კვირას აცხობს მის სახელზე პურს. ყოველ აღდგომას სასაფლაოზე მიდის შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად. გია ძიამ, მისმა შვილმა, მამის სახელზე ააშენა მარანი და `თედო პაპას მარანი~ უწოდა.

ვიცი, ამის წაკითხვაზე ეთერ ბებოს თვალები აუცრემლიანდება, მაგრამ მე იმისთვის კი არ დავწერე, რომ ვინმე ავაცირო, არამედ იმიტომ, რომ თედო პაპას ხსოვნას პატივს ვცემ.

მახსოვს, თედო პაპამ 19 აგვისტოს, ფერიცვალების დღეს, ყურძენი მომართვა, ვითარცა დიდ ქალბატონს. თორმეტი დღის შემდეგ კი... გარდაიცვალა.

ვიცი, თედო პაპას სული მარადიულობაშია და მისი ხსოვნა არ მოიშლება, სანამ მე და ჩემისთანები სიყვარულით გავიხსენებთ.

თედო პაპა!

ვიცი, რომ გვიანია, მაგრამ თამამად გეტყვი: `ძალიან მიყვარხარ!~

მჯერა, ამით შენი სული მოიცხენს.

ნინო მჭედლიშვილი,
ე. თაყაიშვილის სახლობის 163-ე საჯარო სკოლის VI კლ. მოსწავლე

გენადი სანაიას მოსაგონარი

ქართული ფოტოჟურნალისტიკის პატრიარქი

ოთხმოცდარვა წლის ასაკში მარადისობას შეუერთდა გამოჩენილი ფოტოხელოვანი **გენადი სილიბისტროს ძე სანაია**. საქართველოში რეკორდების წიგნი რომ არსებობდეს („გინესის“ წიგნის მსგავსი), აწგანსვენებული ამ სფეროს მუშაკთა შორის ათეულში უთუოდ შევიდოდა. მეორე არ მეგულება ისეთი ფოტოჟურნალისტი, რომელსაც ერთ გაზეთში ფეხმოუცვლელად სამოცი წელი ეღვაწოს. ეს გაზეთია **90 წლის „სახალხო განათლება“.** უფრო ადრე **გენადი სანაია** მცირე ხნით გაზეთ **„თბილისში“** მუშაობდა.

სამოცი წელი – რატომ სულ მასწავლებელთა გაზეთში? ბუნებრივი კანონზომიერება იყო: მისი მამა, **სილიბისტრო სანაია** – გამოჩენილი პედაგოგი, თბილისის საქვეყნოდ ცნობილ 77-ე სკოლაში მოღვაწეობდა სახელგანთქმული სახალხო მასწავლებლისა და დიდი დირექტორის **გრიგოლ კობახიძის** მხარდამხარ.

გენადი სანაია, ზნეკეთილ ოჯახში აღზრდილი,თავად იყო კეთილსინდისიერების განსახიერება: ღიმილიანი, თავმდაბალი, კოლეგიალური. ვერ იტანდა მატყუარებსა და ქედმაღლებს, გახლდათ თავისი საქმის დიდოსტატი. მისთვის უცხო იყო ზედაპირულობა, ბოლომდე იხარჯებოდა თავისი პროფესიის სიყვარულში, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა გასაკეთებელ საქმეს. კოლეგებმა სახუმარო ანეგდოტი შეუთხზეს: თურმე გადაღებისას რუსთაველის ძეგლს აფრთხილებდა: „სდექ, არ გაინძრეო!“ არ უყვარდა თუ ვინმე „ფოტოგრაფს“ დაუძახებდა, „გრაფი“ შენ იყავი, თუ კარგია. მე ფოტორეპორტიორი ვარო, – ეტყოდა მოღუშული. ჭეშმარიტად მაღალი რანგის ფოტოხელოვანი გახლდათ, ბევრ გამოფენა-კონკურსში გამარჯვებული.

გენადი სანაია ოჯახური ერთგულების, სიმტკიცის, მეუღლეობის ჯანსაღი წესის დამცველი იყო მუდამ. მეუღლე **ვენერა არსოშვილთან** ერთად საიამტკბილობით გალია წუთისოფელი და მშობელთა ძვირფასი ტრადიცია გააგრძელა. მისი მშობლები **სილიბისტრო სანაია** და **სიდონია გიგაური** ხომ ოჯახური სიყვარულისა და ერთგულების ეტალონები იყვნენ. უფრო მეტი, ეს წესი აწ განსვენებულმა ღირსეულ ესტაფეტად გადასცა შთამომავლობას: გენადის ძე **დავით (დათო) სანაია** და მისი მეუღლე **ნინო მაისურაძე** ქართველი ერის ამ დიდებულ ტრადიციას ბრწყინვალედ აგრძელებენ. „კვიცი გვარზე ხტისო“, – ბრძენთა ნათქვამია. **დათო სანაია** მამის გზას არ ღალატობს,შესანიშნავი მხატვარია. მისი ფერწერული ტილოები დიდი მოწონებით სარგებლობს საზოგადოებაში. **ეკა სანაიამ** ბაბუის პროფესია აირჩია, თბილისის ერთ-ერთი ბაგა-ბაღის ჩინებული აღმზრდელ-პედაგოგია.

ილია ბრძანებდა: „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია.“ **გენადი სანაიამ** ამ ქვეყანაზე შეუბღალავი სახელიც დატოვა და ძვირფასი მემკვიდრეობაც.

გენადი სანაიას ნაღვაწ-ნამოქმედარზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ყველაფერს სჯობს, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ცალკე მონოგრაფიული წიგნი შეიქმნას.

გენადი სანაიას დახასიათებას ზუსტად მიესადაგება მისი მეგობრის, პოეტ იოსებ ნონეშვილის სტრიქონები: „ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი, წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდის, ეს ხომ მართლაც გმირობაა დიდი.“

გემშვიდობებით, ჩვენო გენადი, არსენას საფლავის ქვაზე წარწერილი ეპიგრაფით: „აქაც კაი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგესა!“

კოლეგები და მეგობრები: **ნათელა ქიმერიძე, ბორის მიშველაძე, კოტე გურგენიძე, ეკა მამუკაშვილი, ნათია გურგენიძე, ზურაბ ქობალია, მზია გოგოძე, ირმა მებონია, მთვარისა კერესელიძე, ნინო შერაზადიშვილი და სხვები.**

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

ზიგფრიდ ხუხუას გამოსათხოვარი

დაგვაკლდა ვალმოხდილი პედაგოგი და მამულიშვილი

თვენახევარი არ გასულა **80 წლის იუბილე** რომ მივულოცეთ. და აი, თავზარდამცემი ინფორმაცია! ახლა კი ნეკროლოგის დაწერა გვიწევს. გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი ღვაწლმოსილი პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი **ზიგფრიდ ალექსანდრეს ძე ხუხუა**.

მისი ცხოვრება მისაბაძი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს მამული, მომავალი თაობა, ის საქმე, რაზეც ხელი გიკიდია.

ახლახან საიუბილეოდ ნათქვამის გამეორება გვიწევს: **ზიგფრიდ ხუხუა** ოჩამჩირის რაიონის **ახალი კინდღლის** საშუალო სკოლისა და **სოხუმის პედინსტიტუტის** აღზრდილია. მისი დამთავრების შემდეგ ფეხმოუცვლელად და დიდხანს ნაყოფიერად მოღვაწეობდა მშობლიურ სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად. იყო სკოლის დირექტორის მოადგილე, შემდეგ ასევე დიდხანს, – დირექტორი. თავისი საყვარელი საქმე დევნილობაშიც წარმატებით გააგრძელა – ნაყოფიერად ასწავლიდა მათემატიკას **თბილისის 167-ე სკოლასთან** არსებულ **ლტოლვილთა სკოლაში**.

მთავარი მაინც ის არის, რომ **ზიგფრიდ ხუხუა** სახელოვანი პედაგოგიური ოჯახის ღირსეული და გამორჩეული წევრი იყო. მისი ოჯახიდან თითქმის ყველა გამოჩენილი პედაგოგი გახლდათ: მამა, **ალექსანდრე ხუხუა**, ქართული ენა-ლიტერატურის ბრწყინვალე მასწავლებელი, მოხალისედ წავიდა დიდ სამამულო ომში და იქ დაიღუპა. დედა – **ლიდა ხოფერია** ნახევარ საუკუნეზე მეტი თავდადებით იღვწოდა დაწყებით კლასებში. ძმამ, **ტიტე ხუხუამ** გარკვეული დრო მიუძღვნა პედაგოგობას, მეუღლე **ნანული შონია** დიდხანს ასწავლიდა მათემატიკას **ახალი კინდღლისა** და **თბილისის** სკოლებში. მშობელთა კვალს სასახელოდ გაჰყვა შვილი **ნატო ხუხუა.**

მარტო პედაგოგი კი არა, **ზიგფრიდ ხუხუა** იყო შესანიშნავი მამა, მეუღლე, მეგობარი, კოლეგა, მეზობელი. ასეთ პიროვნებებს არასოდეს ივიწყებენ.

თბილი და მსუბუქი იყოს შენთვის, ბატონო ზიგფრიდ, თბილისის მიწა!

კოლეგებისა და მეგობრების სახელით: **ბორის მიშველაძე, ვალტერ სიჭინავა, ნინა ლეთოდიანი, გიზო გეგეჭკორი, ხიმურ რუხაია, ინვერ მესხია, ზურაბ ქობალია, კონსტანტინე გურგენიძე...**

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 599 944 592;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N15 (4590)
11 დეკემბერი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113